

მხედრისა და ფრინველების
გამოსახულებიანი ბალთა

www.ajaraheritage.ge
info@ajaraheritage.ge
Gonio - Apsaros Fortress

გონიო-აფსაროსის
არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი



# გონიოს განძი



მებრძოლი ცხოველების გამო-
სახულებიანი გარსაკრავი

აჭარის კულტურული
მემკვიდრეობის
დაცვის სააგენტო

CULTURAL HERITAGE
PRESERVATION AGENCY
OF AJARA



დისკოსებრი ბალთები,რომლებზეც ბორჯღალოვნები გამოსახული

# გონიოს განძი

ახ. წ. I–II სს. დათარიღებული, განსაკუთრებით მდიდარი განძი სოფ. გონიოსთან, სადაც განლაგებულია აფსაროსის ციხე, ახლოს მდებარე მთაზე, გზის გაყვანისას 1974 წ. აღმოჩნდა. აქ ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშებია წარმოდგენილი. ესაა: შიშველი ჭაბუკის ქანდაკება, კანელურებიანი ფიალა, მასიური წახნაგოვანი სამაჯურები, ჰელიოსის გამოსახულებიანი მედალიონი, გარსაკრავი, რომელზეც მებრძოლი ცხოველებია დატანილი, სტილიზირებული მხედრის, ფრინველებისა და ცხოველის გამოსახულებიანი მოთვალული და დაცვარული ბალთები, ცვარათი გამოყვანილი და სამკუთხედებით შემკული მძივსაკიდები, შტანდარტის თავი, წნული ძეწკვები, ღილაკები, ორნამენტირებული ფირფიტები, კილიტები და ა.შ.

ანტიკური ცივილიზაციის გავლენა განძის რამოდენიმე ნიმუშზე აისახა (დაწვრ. იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი, გონიოს განძი, თბილისი, 1980) რომაული გავლენის ხარისხი კოლხეთის რეგიონების მიხედვით იცვლება. ის გაცილებით უფრო აშკარაა რომაულ ფორტებთან ახლოს განლაგებულ ზღვისპირა დასახლებებში. საინტერესოა, რომ I –III სს შედარებით, მომდევნო პერიოდში უფრო თვალსაჩინო გახდა „დასავლური“ და ქართული რწმენა-წარმოდგენებისა და კულტების დაახლოების ტენდენცია, თუმცა ამ ტენდენციამ მოსახლეობის ფართო წრეებში ასახვა ვერ ჰპოვა. ცვლილებები მხოლოდ ადგილობრივ და უცხო ღვთაებათა იკონოგრაფიაში აისახა. ეთნიკური და კულტურული ტრადიციები, რომელიც თვითმყოფად ფესვებზე საზრდოობდა, ქვეყნის მთავარ სასიცოცხლო ძალას წარმოადგენდა.

გონიოს განძი ამჟამად ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში.



ჰელიოსის გამოსახულებიანი მედალიონი



შიშველი ჭაბუკის ქანდაკება



წნული ძეწკვი



კანელურებიანი ფიალა



მასიური წახნაგოვანი სამაჯური



ორნამენტირებული ფირფიტები



წნული ძეწკვი



ორნამენტირებული ფირფიტები